მაჭახელას თოფის გზა

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

მარშრუტის დასაწყისი / დასასრული:

ბათუმი - სოფელი ზედა ჩხუტუნეთი

მანძილი ბათუმიდან: 47კმ

ხანგრძლივობა: ერთი ან რამოდენიმე დღე

მარშრუტის ტიპი: საავტომობილო

სირთულე: მარტივი

გზის საფარი: ასფალტირებული გზა, სასოფლო გრუნტიანი გზა (17 კმ)

მარშრუტის აღწერილობა:

მაჭახელას ხეობა ბათუმიდან სამხრეთით, მდინარე ჭოროხისა და მაჭახელას შესართავიდან იწყება. ხეობა ცნობილია თოფი მაჭახელას და საოჯახო ხანჯლების ისტორიით, კულტურულ-ისტორიული ძეგლებითა და ეროვნული პარკით.

„მაჭახელას თოფის გზის“-ს მარშრუტი საშუალებას გაძლევთ მოინახულოთ თოფი „მაჭახელას“ მონუმენტი (1), გვარას ციხე (2), მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ქვემეხი სოფელ სკურდიდში (3) ცხემლარას თაღოვანი ხიდი (4), ულამაზესი ჩანჩქერი (5) და ზედა ჩხუტუნეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (6).

ტურისტული მარშრუტი ბათუმიდან იწყება, მიუყვება ბათუმი ახალციხის გზატკეცილს. სოფ. აჭარისწყლიდან გზა მიემართება მდინარე ჭოროხისა და მაჭახლისწყლის შესართავთან საიდანაც 300 მეტრის მოშორებით გვხვდება გვარას ციხის ნანგრევები, აქედან გზა გრძელდება მდინარე მაჭახელას ხეობის მიმართულებით და სოფელ სკურდიდში ისტორიულ ქვემეხსა და ამბრაზურასთან მივყავართ. გზად გვხვდება ცხემლარას თაღოვანი ხიდი (4), რომელიც XII საუკუნეშია აგებული. ხეობის აყოლებით მივდივართ სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. აქ დამთვალიერებელს ულამაზესი ჩანჩქერი ელის, რომლის ფორმა გამორჩეულია და კიბის საფეხურებს წაგავს. მარშრუტი გრძელდება ზედა ჩხუტუნეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიმართულებით (6), რომელიც ყოფილი მეჩეთის სამსართულიან შენობაშია განთავსებული. გზიდან მაჭახლის ხეობის შთამბეჭდავი ხედები იშლება.

ხეობაში შესაძლებელია მაჭახელას ეროვნული პარკის მონახულება. პარკი ზღვის დონიდან 300-350 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. პარკის ტერიტორიის 95% წაბლის, წიფლის, რცხილის და მურყანის ტყეებს უკავია. ფუნქციონირებს ორი, სამანქანოსთან ინტეგრირებული საფეხმავლო ბილიკი. ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრები განლაგებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. აჭარისაღმართის ცენტრში (7).

ქვედა და ზედა ჩხუტუნეთსა და კოსტანეთში შესაძლებელია ღამისთევა და ტრადიციული კერძების დაგემოვნება საოჯახო სასტუმროებში, სადაც გაეცნობით ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას, გაისეირნებთ მიმდებარე ადგილებში და მოინახულებთ ღირშესანიშნაობებს (8) (9) (10) (11) (12).


შავი ზღვა
ბათუმი
ანგისა
ადლია
ჯახაბერი
ფერია
ქვედასამება
სამება
ურეხი
ანარია
ზედაახალშენი
ახალშენი
ოდოგაური
ანანური
ბაბანა
ბაბანა
ბაბანა